მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 178 (11484)
კვირა
2
აგვისტო
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

რკინიგზელის საკავშირო დღე

დიდება საბჭოთა რკინიგზელებს — ჩვენი ქვეყნის სახელოვანი მუშათა კლასის მოწინავე რაზმს!

გრიგოლ ბოგვერაძე

მთავრობის ჯილდოები რკინიგზელებს

რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებაში მიღწეული წარმატებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა რკინიგზის ტრანსპორტის 4.746 მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 569 კაცი. შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 1.278 კაცი, „სოციალისტური ნიშნის“ ორდენით — 1.680 კაცი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 516 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 703 კაცი.

თვალსაჩინო წარმატებისათვის, რაც მოპოვებულია რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებაში, 195 კაცს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მათ შორის — მოსკოვის მახარისხებელი სადგურის სალოკომოტივო დეპოს უფროს მემანქანეს ვ. გ. ბლაქენოვს, გზათა მინისტრს ბ. პ. ბეშჩევს, მოსკოვ-კურსკ-დონბასის რკინიგზის კუსკოვოს სადგურის მატარებლის შემდგენელს ნ. დ. გურიევს, იმიერბაიკალის რკინიგზის ზილოვოს სალოკომოტივო დეპოს უფროს მემანქანეს ი. ტ. სოლოვიოვს, დონეცის რკინიგზის კრასნი ლიმანის საორთქლმავლო დეპოს უფროს მემანქანეს გ. ს. შუმილოვს.

საქართველოს სს რესპუბლიკიდან სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედელს კონსტანტინე ილურიძეს და თბილისის საელმავლო დეპოს უფროს მემანქანეს გრიგოლ ბოგვერაძეს.

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1959 წლის 1 აგვისტოს ბრძანებულებით **დაჯილდოვა:**

საქართველოს სს რესპუბლიკაში

ლენინის ორდენით

1. **ადლეიბა** მელიტონ ხარუნის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის განყოფილების განყოფილების უფროსის მოადგილე.
2. **ახობაძე** ნიკოლოზ ტიმოთეს-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე.
3. **გურასაშვილი** ლავრენტი პანკრატის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე.
4. **დიდიკი** ნაზარ თევდორეს-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მექვაბე.
5. **ლაბაძე** ილია ილიას-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე.
6. **მამაცაშვილი** დავით გიორგის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **აბუთიძე** დავით გიორგის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.
2. **ვაშაკიძე** ვასილ ვიქტორის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების მორიგე.
3. **გაგუა** ვიქტორ ივანეს-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის საგაგონო დეპოს ბრიგადირი.
4. **იოსელიანი** შოთა ივანეს-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის მოძრაობის სამსახურის უფროსი.
5. **ქარუმიძე** იოსებ გიორგის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე.
6. **კაშია** გრიგოლ დავითის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმის საგაგონო დეპოს ელექტროშემდუღებელი.
7. **მაშკეფაჩი** ლაზარე მიხეილის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო საპროექტო განყოფილების უფროსი.
8. **მეტონიძე** გალაქტიონ ბესარიონის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსი.
9. **მიგინეიშვილი** კარლო გერონტის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე.
10. **მიქაძე** მელიტონ მიხეილის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე.
11. **რთველიაშვილი** ზაქარია ივანეს-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მახარისხებელი სადგურის საგაგონო დეპოს ოსტატი.
12. **წამალაშვილი** შალვა ზაქარიას-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საორთქლმავლო დეპოს პროფკავშირის აგდელმბრიგი კომიტეტის თავმჯდომარე.
13. **ცხადაძე** გიორგი იუსტინეს-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ზესტაფონის სადგურის უფროსი.
14. **ჩომახიძე** ვახტანგ გერასიმეს-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმის სადგურის მატარებლის შემდგენელი.
15. **იაშვილი** ნოე ბაგრატის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის სალიანდაგო დისტანციის გზის ოსტატი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. **ავეტისიანი** სერგი რუბენის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ნავთლუღის სადგურის დისპეტჩერი.
2. **ბარსუკოვი** ბორის ზაქარიას-ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების ინსტრუქტორი.
3. **გურგენიძე** ნინო ნოეს ასული — ამიერკავკასიის რკინიგზის ბორჯომის სადგურის უფროსის უფროსი თანაშემწე.
4. **ელისაშვილი** მიხეილ არჩილის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის ენერგომომარაგების უბნის საკონტაქტო ქსელის დისტანციის მონტიორი.
5. **კობიაშვილი** ამირან ივანეს-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სალიანდაგო დისტანციის უფროსი.
6. **ჭურდაძე** სერგი გიორგის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის სადგურის მატარებლის შემდგენელი.
7. **ლომიძე** გიორგი კონსტანტინეს-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის საგაგონო დეპოს მატარებლის ოსტატი.
8. **ლომიძე** ივანე მიხეილის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის ხაელმავლო დეპოს ბრიგადირი.
9. **მეაფია** კარლო ნონას-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მატარებლის დისპეტჩერი.
10. **მოდებაძე** გიორგი პოროფილეს-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის მორაპნის სალიანდაგო დისტანციის ბრიგადირი.
11. **ნიკოლაძე** ნოდარ ელეფთერის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მღარველი.
12. **პირვუშინა** ოლღა ნიკოლოზის ასული — ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის განყოფილების განყოფილების უფროსი.
13. **ფოცხორაია** ოთარ სტეფანეს-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ჭუთაისის სალოკომოტივო დეპოს უფროსი.
14. **სალაყაია** შალვა ლავრენტის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის სალიანდაგო დისტანციის გზის ოსტატი.
15. **სალუქვაძე** შალვა ანთიმოზის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის უფროსი ელექტრომექანიკოსი.
16. **სიხარულიძე** გიორგი ისაიას-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სატვირთო სადგურის მორიგე.
17. **ხობაშვილი** დავით ზაქარიას-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სამგზავრო სადგურის საგაგონო დეპოს ოსტატი.
18. **შუკაძე** ვაჟა ლუკას-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის უფროსი ელექტრომექანიკოსი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **დავითაძე** იოკიმ სტეფანეს-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის სალოკომოტივო დეპოს ზეინკალი.
2. **ლომსაძე** იოსებ ივანეს-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის ენერგომომარაგების უბნის საკონტაქტო ქსელის დისტანციის მონტიორი.
3. **მირონენკო** ნინო ალექსანდრეს ასული — ამიერკავკასიის რკინიგზის ფოთის სადგურის უფროსი მეისრე.
4. **სკლიარენკო** ნადეჟდა ნიკოლოზის ასული — ამიერკავკასიის რკინიგზის რუსთავის სატვირთო სადგურის უფროსი მეისრე.
5. **სულუაშვილი** ალექსანდრე ალექსეს-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ნავთლუღის სალიანდაგო დისტანციის ბრიგადირი.
6. **თავაძე** ანაპოლიტ ლავრენტის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის შენობათა და ნაგებობათა დისტანციის ხუროო.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **გელანთია** სულიკო ილარიონის ასული — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის სადგურის უფროსის მოადგილე.
2. **ეხაიაშვილი** თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის სოხუმის ენერგომომარაგების უბნის საკონტაქტო ქსელის დისტანციის მონტიორი.
3. **კალაძე** აკაკი ბესარიონის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის უფროსი ინჟინერი.
4. **ლეკაშვილი** დავით ვასილის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის გურჯაანის სალიანდაგო დისტანციის გზის ოსტატი.
5. **პატარქალაშვილი** გიორგი ვასილის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სამგზავრო სადგურის უფროსი მეისრე.
6. **ხმიადაშვილი** ბაგრატ ვლადიმერის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საორთქლმავლო დეპოს ზეინკალი.
7. **ციხელაშვილი** ოთარ ვასილის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ბორჯომის სალიანდაგო დისტანციის ინჟინერი.
8. **ჩუხანოვი** ნიკიფორე ნიკოლოზის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სატვირთო სადგურის მწონავი.

(საკდესი)



კონსტანტინე ილურიძე

ზრომისა და დიდების გზაზე

გრდემლი და მჭედელი ერთად გაჩნდნენ აქ, ამ უზარმაზარ ქარხნის საამქროში. გრდემლი გამოცვალეს, მჭედელი დარჩა, ოღონდ წლებმა ცოტათი დაუმძიმეს ნაბიჯი, დაღვინდა ძარღვებში აბორგებული სისხლი, მაგრამ ბებერი ხარი რქით ხნავსო, ამბობენ.

ოცდაათი წელია გავარვარებულ ჭუჭრასთან დგას თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სახელოვანი მჭედელი კონსტანტინე ილურიძე. ცეცხლთან და გრდემლთან დაძმობილებულმა თავისი ხუთი თითივით იცის ლითონის საიდუმლო. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლებმა კარგა ხანია გაიიგეს მაღალი ხარისხი და კონსტანტინეს ნახელავი.

თვითონ კი, ვითომც კი, ფასდაკლებულია, კვლავ აქოთქოთებულ ჭურასთან დგას, გადმოაქვს გავარვარებული ლითონი, ლებს გრდემლზე, სახელოთი იწმენდს ოფლს და მეურუის შესძახის:

— დასცხე, მიხეილ!

მიხეილ ოხანაშვილი რთავს ფოროს, ლითონი ემორჩილება მარჯვე ადამიანების მტაცეცე ხელს. საღამოობით მჭედელი თვალს გადაავლებს დახვავებულ დეტალებს და თავის მეგობარს მიმართავს:

— აბა ერთი დავითვალოთ.

— დღეს ოცი ქარგოლი გამოგვიგია.

— გუშინ რამდენი იყო?

— თვრამეტი.

კონსტანტინე ილურიძეს სიხარულით უბრწყინდება სახე. ასეა ყოველდღე. კ. ილურიძე და მ. ოხანაშვილი წარმატებას წარმატებებზე აღწევენ. ისე როგორ იქნება, რომ ცვლის დაკლება 300 პროცენტით მაინც არ შეასრულონ. ახლა 1969 წლის ანგარიშში მუშაობენ. სახელგანთქმულ მჭედელს მტაცედ აქვს გადაწყვეტილი შვიდწლეული დავალება ორ წელიწადში გაანალდოს.

შრომა და გარჯა დაუფასეს, ქარხანაში რომ მოვიდა, ერთი სოფლელი ბიჭი იყო, დღეს სახელგანთქმული მჭედელია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ხალხის რჩეული და მსახური, კოლექტივის თვალისჩინი, ბედნიერი ოჯახის მამაბოძი. გუშინ ქარხანაში სახელოვან მჭედელს აღტაცებით ულოცავდნენ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდების მინიჭებას.

— გმირი რაღაც განსაკუთრებული უნდა იყოს, მე ერთი მჭედელი კაცი ვარ, ისეთი რა გამიკეთებია, — თითქოს ეუხერხულება კონსტანტინეს, რომ ასე საპატიო წოდების ღირსი გახადეს.

— რა გგიკეთებიათ? ეს ხალხმა იცის, ხალხი ბრძენია და ყოველსმხედველი.

* * *

ღამის წყვდიადს პროექტორის მძლავრი შუქი კვეთს. ბზინავს ფოლადის მაგისტრალი, ხეობებში და ველებზე დაუსრულებლივ გატყორცნილი. მემანქანე გრძნობს, რომ ალმართი დაიწყო, მატარებელი სიჩქარეს ანელებს. ელმავალი ბუქსაობას იწყებს, ცუდად არის საქმე, გაუელვა თავში გრიგოლ ბოგვერაძეს და უმალ თანაშემწეს უბრძანა:

— ქვაშა მოუმატე.

თვითონ რეგულატორს დაწვდა.

— აბა, შამილ, გასწიე, სირცხვილი არ გვაქამო. და „რკინის ხარი“, თითქოს პატრონის წაქეზება ესმინოს, ძალღონეს იკრებს, სიჩქარეს უმატებს, გაიკაკეს, შვებით ამოისუნთქეს. ელმავალი ისე მსუბუქად თოკავს მანძილს, თითქოს 4000 ტონა ტვირთს კი არა, ბუმბულს მიაქროლებსო.

— გზა თავისუფალია?

გრიგოლი თვითონაც ხედავს მწვანე შუქს, მაგრამ თანაშემწეს მაინც ეკითხება. ამას მოძრაობის უსაფრთხოება მოითხოვს.

— თავისუფალია.

მოძრაობის მუშაკებმა „მწვანე ქუჩა“ მოუმზადეს მოწინავე მემანქანეს, რომელსაც აქსტაფიდან გაწყვილებული შემადგენლობა მოყავდა.

ეს ერთ-ერთი ჩვეულებრივი რეისი იყო თბილისის საელმავლო დეპოს სახელოვანი მემანქანის გრიგოლ ბოგვერაძისათვის. 22M 416 კომკავშრომელი ელექტრომავლის კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, სახელი გაითქვა მძიმე წონის მატარებლების ტარებით, ელმავლის სანიმუშო მოვლით.

— გრიგოლ ბოგვერაძეს რაც მძიმე წონის მატარებლები გადაუყვანია, ერთ ხაზზე რომ გაამწკრივოთ, ექვსჯერ შემოწვდება დედამიწას ეკვატორზე, — ამბობენ საელმავლო დეპოში.

— შვიდწლედში საქმე ყელამდე გვაქვს, ცხოვრება წინ მიდის, ხვავდება სახალხო დოვლათი, ტვირთები მატულობს, ჩვენც უნდა მოვუმატოთ მატარებლების წონას, — ხშირად ეტყვის ხოლმე ამხანაგებს ახალგაზრდა მემანქანე გრიგოლ ბოგვერაძე.

დეპოში ანგარიშს უწევენ მის ნათქვამს, გრიგოლისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებას ამბავი რომ შეიტყეს, ისე გაიხარეს თითქოს თვითეული მათგანისათვის მიენიჭებინოთ ეს საპატიო წოდება.

კოლექტივის სიყვარულით გამხნევებული და ამაღლებული მემანქანეც წინ მიდის და იმედით შეჰყურებს მომავალს.

ა. ხუმუა.

ლიანდაგზეა 120 ვაგონი

ელმავლის სასტვენის ხმა შეაფიჭრა რკინიგზის სადგურის მორიგის ოთახში. ჩამოდგა მეორე მატარებელი ცარიელი ცისტერნებით.

— ორი ცისტერნებიანი მატარებლიდან შეადგინეთ ერთი გაწყვილებული შემადგენლობა, — მიიღეს დავალება შემდგენლებმა. ასეც გაკეთდა. რამდენიმე ხანში ლიანდაგზე გაიჭიმა გრძელი მატარებელი.

— 1.900 ტონიანი შემადგენლობა 320 ღერძით მზად არის ხაშურისაკენ გასამგზავრებლად! — მოახსენეს სადგურის მორიგეს.

გაწყვილებული გრძელშემადგენლობიანი მატარებელი, რომელიც 120 ვაგონისაგან შედგებოდა, შეუფერხებლად, დროზე ჩამოიყვანა ხაშურში პირველი კლასის მემანქანემ სიმონ ელისაშვილმა.

ეს იყო პირველი გრძელშემადგენლობიანი, გაწყვილებული მატარებელი, რომელიც გადაყვანილ იქნა სურამის რთულპროფილიან უბანზე.

შემდეგ ხაშურელმა მეელმავლეებმა ზესტაფონიდან გრძელშემადგენლობიანი და ორმაგწონიანი მატარებლების ტარება ფართოდ არის დანერგილი. ზესტაფონიდან ხაშურში ჩამოყვანილია უკვე ასზე მეტი მატარებელი.

მ. ხეთაგური.

ნიკოლოზ მამაი ეჯიბრება ვალენტინა გაგანოვას

კრასნოდონი (ლუგანსკის ოლქი), 31 ივლისი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, სახელგანთქმულმა დონეცელმა მაღაროელმა სოციალისტური შრომის გმირმა ნიკოლოზ მამაიმ მიჰბაძა მრთველ ვალენტინა გაგანოვას პატრიოტულ მაგალითს, გადავიდა თავისი შახტის ჩამორჩენილ ბრიგადაში და პირობა დადო გამოიყვანოს იგი მოწინავეთა შორის.

მნგრეველთა ახალმა კოლექტივმა, რომელსაც იგი მეთაურობს, წინადადებით მიმართა ვიშნი ვოლოჩეკის მრთველებს დაიწყონ შეჯიბრება შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

კრასნოდონს შახტ № 2 „სევერნაიაში“ მოვიდა საპასუხო დეპეშა, რომლითაც ვალენტინა გაგანოვა იტყობინება, რომ მისი ბრიგადა იღებს დონეცელი მნგრეველების გამოწვევას.

სადგური რუსთავი-სატვირთო. არც ერთ წუთს, არც ერთ წამს არ ცხრება აქ დაძაბული და შემოქმედებითი შრომა. ზუსტად, გრაფიკით გადიან მძიმეწონიანი მატარებლები. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში იგზავნება ქართული ლითონი, ცემენტი, მინერალური სასუქები.

წარმატებით რომ გაანაღდონ სახელმწიფო დავალება, რუსთაველი რკინიგზელები აჩქარებენ ვაგონების ბრუნვას, ამცირებენ მოცდენებს.

წარმატებები არის. მათ მოპოვებაში დიდ როლს თამაშობს სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც რუსთაველებთან ერთად ფართოდ მონაწილეობენ ფოთისა და სტალინოს რკინიგზელები.

დიდძალი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რასაც სოციალისტური რუსთავი აძლევს ქვეყანას, მიდის რკინიგზის ხაზით ფოთამდე, ხოლო აქედან ზღვით — ყირიმში, უკრაინაში... მიემართება არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ დემოკრატიულ ქვეყნებში, საზღვარგარეთის სხვადასხვა სახელმწიფოში.

რუსთაველ და სტალინოელ რკინიგზელებს სხვა რამეც აკავშირებთ ერთმანეთთან. ხომ ცნობილია, რომ სტალინოში დაეუფლა ბევრი ქართველი ჭაბუკი მეტალურგის პროფესიას. ქართველ და უკრაინელ მეტალურგთა სოციალისტური შეჯიბრება ტრადიციულ ხასიათს ატარებს.

რკინიგზელები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული მეტალურგებთან, თავდადებით შრომობენ, რომ არ ჩამორჩნენ მათ საერთო საქმეში. რუსთავი-სატვირთო სადგურის კოლექტივი ჩაბმულია შეჯიბრებაში სტალინოს რკინიგზელებთან. ამას წინათ რუსთაველ რკინიგზელთა დელეგაცია იმყოფებოდა უკრაინელ მეგობრებთან. რუსთაველ რკინიგზელებს აქვთ წარმატებები, რითაც შეუძლიათ გაახარონ თავიანთი მეგობრები. ნახევარი წლის დატვირთვის გეგმა შესრულებულია 107 პროცენტით. გეგმის გადამეტებით დატვირთულია მრავალი ვაგონი მილი, ფოლადის ფურცელი, ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის სხვა პროდუქცია. მცირეეზონიანი გზავნილების შემჭიდროებულ ვადაში დატვირთვის მეთოდის გამოყენების შედეგად მარტო მეტალურგიული ქარხნის ხაზით განთავისუფლებულ იქნა 1000-ზე მეტი ვაგონი, ვაგონების მოცდენა 2,7 საათით დაბალია ნორმაზე.

ექვსი თვის მანძილზე მატარებლების მთელი რაოდენობის 60 პროცენტზე მეტი მძიმეწონიანი იყო. გეგმის ზევით გადაზიდულია 50 ათას ტონაზე მეტი ტვირთი.

რუსთავი-სატვირთო სადგურის კოლექტივის თვითეული წევრი დაინტერესებულია თავისი წვლილი შეიტანოს შვიდწლედის განხორციელებაში, და როცა ამ წვლილზე ჩამოვარდება ლაპარაკი, პირველ რიგში ასახელებენ შემდგენელ ა. მელკუაშვილს, სადგურის მორიგე ი. კვირიკაშვილს, მეისრე ი. გოგშვილს, ტექნიკურ კონტროლიორს ნ. სოფრომაძეს.

ზ. მერკვილაძე.

საზეიმო კრება თბილისში

1 აგვისტოს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა საზეიმო კრება, მიძღვნილი რკინიგზელის სრულიად საკავშირო დღისადმი. აქ შეიკრიბნენ თბილისისა და ნავთლუღის კვანძების, ერევნის, ბათუმის, სოხუმის, კიროვაკანის რკინიგზელები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების წარმომადგენლები.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, მ. ი. კუჭავა, გ. ა. გეგეშიძე, წარჩინებული რკინიგზელები, წარმოების ხელმძღვანელები.

საზეიმო კრება გახსნა ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ი. ყორყოლაძემ.

მოხსენება რკინიგზელის სრულიად საკავშირო დღის შესახებ გააკეთა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა დ. გ. მამაცაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელებმა, ეგებებიან რა თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს, გადაჭარბებით შეასრულეს მეორე კვარტალის გეგმის ყველა ძირითადი მაჩვენებელი.

პარტია და მთავრობა ღირსეულად აფასებენ რკინიგზელთა თავდადებულ შრომას. ამას მოწმობს ისიც, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ჩვენი ქვეყნის ყველაზე მოწინავე რკინიგზელებს მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. შრომის ახალ გმირებს შორის ჩვენი მაგისტრალის სამი სახელგანთქმული რკინიგზელია: სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედელი კ. მ. ილურიძე, თბილისის საელმავლო დეპოს უფროსი მემანქანე გ. ა. ბოგვერაძე, ლენინაკანის საელმავლო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორი ს. ა. მიქაელიანი.

ჩვენი მაგისტრალის ბევრი მოწინავე რკინიგზელი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით მან მხურვალედ მიულოცა შეკრებილთ და მათი სახით ყველა რკინიგზელს დღესასწაული და მაღალი ჯილდო, და უსურვა წარმატებანი მათს კეთილშობილურ შრომაში. დამსწრეთა ტაშის გრიალში გ. დ. ჯავახიშვილმა გზის უფროსს დ. გ. მამაცაშვილს გადასცა სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც მიენიჭა ამიერკავკასიის რკინიგზას სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

კრებაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საელმავლო დეპოს უფროსმა მემანქანემ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა გ. ა. ბოგვერაძემ, ლენინაკანის საელმავლო დეპოს უფროსმა მემანქანემ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ს. ხ. მატიშიანმა.

კრების მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი.

(საკდესი).

რკინიგზით, ზღვით მიდის ძვირფასი ტვირთი

მოსკოვ-ყირიმ-ბაკოს ხაზზე ბევრ ადგილას ბოლო ხანებში ბევრ ტვირთ-მგზავრ ეზიდებოდა ბაკოელ ნავთობმეზეიმეთა ბრიგადა. ბაკოელ ნავთობმეზეიმეთა ბრიგადა ბევრ ადგილზე ეხმარებოდა ბაკოელ ნავთობმეზეიმეებს

თბილისის საელექტროსაკვანძო დეპოს მოწინავე მემანქანეები, რომლებმაც აღებული ვალდებულება რკინიგზელის საკავშირო დღისათვის შეასრულეს: (მარცხნიდან ან მარჯვნივ) შ. მალრაძე, ა. კიკნაძე, ს. გოგოლაძე, ა. დანელია, გ. ლიკლიკაძე, ვ. კვაბაძე, გ. ბერუაშვილი. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საბჭოთა პრესის მაღალი მოწოდება

პრესის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

ტექნიკური პროგრესის დაჩქარების იმ ყოველმხრივი პროგრამის წარმატებით განხორციელებაში, რომელიც პარტიამ შეიმუშავა, პასუხისაგები როლი ეკისრების ჩვენს პრესას. იგი მოწოდებულია უფრო მეტი ძალით დარაზმოს მასიები კომუნისტური მშენებლობის იმ ძირეული საკითხების წარმატებით გადაჭრისათვის, რომლებიც პარტიამ დასახა, მეტი უნარით გამოვიდეს როგორც კოლექტიური პროპაგანდისტი და აგიტატორი, მშრომელი მასების კოლექტიური ორგანიზატორი.

პრესის ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს, ამოცანებს, რომლებიც დასახულია მათს წინაშე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის კოლეგიებთან მიერ დასახულ ამოცანებთან დაკავშირებით, მიეძღვნა პრესის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტმა მოიწვია. მისმა მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება, თავიანთი შემოქმედებითი გეგმები, ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ იბრძვის პრესა პარტიის დავალებათა განხორციელებისთვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაზეთების მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთეს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა დ. მეჭედლიშვილმა, გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიის“ რედაქტორმა გ. სემონოვმა, ქუთაისის საქალაქო გაზეთის „სტალინელის“ რედაქტორმა გ. მეფისაშვილმა, გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის“ მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგემ ტ. ლომსაკაიამ, გაზეთ „სოციალისტიჩესკი რუსთაველი“ რედაქტორის მოადგილემ რ. დავიდოვმა, გაზეთ „მოლოდოი სტალინეცი“ რედაქტორის მოადგილემ გ. ბედინეიშვილმა.

თათბირზე გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის პრესამ ნაციონალურენი ენა, ეროვნული ენა, ეროვნული ენა, ეროვნული

მივიწყებული მფენებლობები

როგორ ემზადებით თქვენ ახალი სასწავლო წლისათვის?

სოხუმის რაიონის გუმბითის სოფლსაბჭოს ყოფილ ოფიცერ ალ. ბ. ბ. ბ



მეჯეხი

ჩვენი წარსულის ძეგლები

ტეხის ეკლესია წარმოადგენს მეთორმეტე საუკუნის მიწურულის ნაგებობას და არი ადრინდელს.

მეტეხის მშენებლებს გამოაკუთრებული გულმოდგინებით შეურჩევიათ ადგილი, ხუროთმოძღვრებს კარგად გადაუწყვეტიათ ამოცანა — ორგანულად დაეკავშირებინათ ტაძრის აგება ადგილობრივ ლანდშაფტთან. ტაძრის ასაგებად მონახულია ყველაზე ხელსაყრელი წერტილი კვიბერთელა კლდეზე, რომელიც ხუროთმოძღვრების მიერ ტაძრის კვარცლბეკად არის გამოყენებული.

ამ თვალსაზრისით მეტეხი ცნობილი ტაძრის — მცხეთის ჯვრის (VI-VII სს.) პირდაპირ გამოძახილს წარმოადგენს. მეტეხი, ისევე როგორც სხვა ძველი ქართული არქიტექტურული ძეგლები, შემოსეულ მტრებს არაერთგზის დაუნგრევიათ. ერეკლე მეორემ 1748 წელს მეტეხის ციხე ხელიდან გამოგლიჯა ირანელებს, კარგად გაამაგრა იგი და აღადგინა, მაგრამ 1795 წელს მეტეხი ირანელების მიერ კვლავ იქნა დანგრეული. დიდი ჯაფის შედეგად გიორგი მეთორმეტემ ხელახლა აღადგინა მეტეხი და ციხე-სიმაგრედ აქცია იგი.

25-ჯერ შემორტყმიან მტრები მეტეხს და დაუპყრიათ იგი, მაგრამ მეტეხის ეკლესიას ჩვენს დრომდე ძირითადად მაინც შემოუნახავს თავისი თავდაპირველი არქიტექტურულ-კონსტრუქციული სახე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ტაძრის შიგნითა ნაწილს არაერთგზის განუცდია გადაკეთება და მიშენება.

მეტეხის წარსული ორგანულად არის დაკავშირებული ქართველი ხალხის გმირულ წარსულთან. მეტეხში ხვდებოდნენ ერთმანეთს გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწენი. აქ წყდებოდა ქვეყნის საშინაო და საგარეო ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხები. ათას წელზე მეტ ხანს გაუწია მეტეხმა სამსახური თბილისის ძველთაძველ კარიბჭეს როგორც მთავარმა სტრატეგიულმა ციხე-სიმაგრემ.

გენერალ ერმოლოვის მმართველობის დროს, 1819 წელს, ციხე-სიმაგრის კედლები აფეთქებულ იქნა და მის ადგილზე საპატიმრო აშენდა. მეტეხის ეკლესია მაშინ საპატიმრო ეკლესიად გადაიქცა. მეტეხის საპატიმროში მრავალი რუსი და ქართველი რევოლუციონერი იტანჯებოდა. 1898 წელს მეფის თვითმპყრობელობამ მეტეხში დაამწყვდია დიდი პროლეტარული მწერალი ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი. მეფის სატრაპებს მეტეხში ჰყავდათ დამწყვდეული ლ. კეცხოველი, ა. ჯაფარიძე, კამო და სხვა გამოჩენილი რევოლუციონერები.

მეტეხის საპატიმრომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იარსება.

სხვადასხვა დროს მეტეხი ყოველმხრივ არის შესწავლილი საქართველოს არქიტექტორი მეცნიერებისა და ხელოვნებისმცოდნეების ე. თაყაიშვილის, გ. ზუბინაშვილის, შ. ამირანაშვილის, ვ. ბერიძის და სხვ. მიერ.

ამჟამად წარმოუდგენს მეტეხის არქიტექტურული ანსამბლის რესტავრირება-სამუშაოს შესრულებაში მონაწილეობენ მაღალკვალიფიციური ოსტატები. მთელი სარესტავრაციო სამუშაო ხორციელდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უშიალო ხელმძღვანელობით. აქვე დაიდგმება თბილისის დამპარსებელის — ვახტანგ გორგასალის ძეგლი.

ხ. ნაციაშვილი,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.



თვალიც წყალს სვამს!...

ახლა იგი გორაკიდან დაეშვა მდინარის პირას. ისე არ გაიგოთ, თითქოს სეფდიანი იყო და „ფიქრთ გასართველად" ესტუმრა. არა. კარგად ერთობოდა სანატორიუმში. უკვე მეორე კვირაა ლამაზი ბუნების წიაღში ისვენებს.

წასვლაც არ უნდა. ზის მოლზე და თვალს აყოლებს ზვირთთა დინებას. მტკვარი კი მოედინება, შედგაფუნებს ლოდებს და შხეფებად იმსხვრევა. ვინ იცის, რა ფიქრები გაატანა მდინარეს! იქნებ ქართლის მძიმე წარსულიც გაიხსენა, იქნებ მოგონა ვარძია, დღესაც რომ ყველა ქვეყნიდან იზიდავს ტურისტებს როგორც ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი.

ამ ახალგაზრდა ადამიანის ფიქრებში ჩვენ ვერ შევიჭრებით. სურათზე ვხედავთ მხოლოდ ერთ რამეს: იგი მოუთბილავს ამწვანებულ მთებს, კალთებს რომ ფიჭვ-ნაძვნარი უმშვენებს. შორით კი მშვენიერი იალაღებია, სადაც ალბათ გაშლილი ცხვრის ფარა ძოვს და თრიალეთელი მწყემსი სალამურს აჟღერებს. უყვარს, მოსწონს საქართველოს ტურფა ბუნება, და მის სიყვარულს ვინ დაუშლის. უდარდელად ატარებს ზაფხულს, ტკბილად ისვენებს მშობლიურ მხარეში. ნახულობს, რაც მოსწონს, და რაკი ეს მოდამოები მოსწონებია, არ მოსწყინდება მისი მზერა. უმზიროს. თვალიც ხომ წყალსა სვამს!..

ფოტო შ. ჩხეტიანისა



ტელეფონით ლაპარაკი

გვიან საღამოს რედაქციაში ტელეფონის ზარი გაისმა.

— „იზვესტიის" რედაქციაა?

— დიახ.

— მე მინდა ველაპარაკო ომას, ვინც სოკოლნიკში მოწყობილ ამერიკულ გამოფენაზე წერს. რამდენიმე შეკითხვა მაქვს.

— ბრძანეთ. ვინ ლაპარაკობს?

— ამას მნიშვნელობა არა აქვს. ლაპარაკობს მოქალაქე. განა თქვენთვის სულ ერთი არ არის?

— რატომ ჯავრობთ, მოქალაქე? სავსებით ბუნებრივია სურვილი, რომ იცოდე ვისთან ლაპარაკობ.

ერთხანს დუმილის შემდეგ ყურმილიდან წმინდა რუსულ ენაზე, უაქცენტოდ, თუმცა განზრახ გულმოდგინედ გვიპასუხეს:

— ლაპარაკობს ამერიკელი გიდი.

— გისმენთ.

შემდგომი ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ ჩვენი თანამოსაუბრე მეტად უკმაყოფილია „იზვესტიით". არა, იმიტომ კი არა, რომ გაზეთი ნაკლებ ყურადღებას აქცევს გამოფენას, არამედ იმიტომ, რომ ობიექტურად გადასცემს შთაბეჭდილებებს, რაც საბჭოთა ადამიანებმა გამოფენაზე მიიღეს, და შეიტანს ზოგიერთ მის ხარვეზს ამერიკული ცხოვრების ჩვენებაში. ამერიკელმა გიდმა ვერაფერი მოიყვანა იმ ფაქტების წინააღმდეგ, რომლებიც დაბეჭდილი იყო ამასთან დაკავშირებით ჩვენს გაზეთში. მან უპასუხოდ დატოვა ჩვენი ის ცნობაც, რომ რედაქციას მოსდის ათობით წერილი თავისი მკითხველებისაგან, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ გამოფენაზე არ არის ამერიკული წარმოების, ტექნიკის, მეცნიერების, კულტურის ფართო სურათი.

მაშ რით არის იგი უკმაყოფილო?

თურმე არა იმდენად „იზვესტიით", რამდენადაც გამოფენაზე მოსული საბჭოთა ადამიანებით, რომლებიც აღტაცებული არ არიან „ცხოვრების ამერიკული წესით" და შეუძლიათ რეკლამის გარჩევა სინამდვილისაგან. მაგრამ აქ ჩვენ, როგორც იტყვიან, არაფრის გაკეთება არ შეგვიძია.

ტელეფონის მავთულის მეორე მხრიდან თანდათან გაძლიერებული გაბრაზებით თავს გვატყდებოდა „უცილობელი" არგუმენტები.

— აი თქვენ ჩვენს ტიპიურ ამერიკულ სახლს არატიპიურად თვლით. ვთქვათ ასეა. მაგრამ საბჭოთა გამოფენაზე ნიუ-იორკში ნაჩვენებია ცალკე ბინა, ჩვენ კი ვიყავით მოსკოვის სახლში და ვნახეთ, რომ მთელი ოჯახები ერთ ოთახში ცხოვრობენ, მაშასადამე, არც თქვენი გამოფენაა ტიპიური?

ჩვენ განვუმარტეთ ამერიკელ გიდს განსხვავება. ვუთხარით:

— განა საბჭოთა გამოფენაზე ნიუ-იორკის „კოლიზიუმში" თქვენ გაიგონეთ, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი უკვე ცხოვრობს ცალკე ბინაში? ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ საკმარისად არ არის ბინები, თუმცა სულ უფრო მეტი საბჭოთა მოქალაქე გადადის ახალ, კარგ ბინებში. დადგება დრო და ასეთი ბინები ყველას ექნება.

ტელეფონი დაღუმდა, შემდეგ კი ახალ „იერიშზე" გადმოვიდა.

— აი ჩვენ მილიციის განყოფილებაში ვიყავით და იქ ვნახეთ, ჩაწერაზე რიგი რომ იდგა. ამერიკაში ჩაწერა არა გვაქვს.

— ვისაც რა მოსწონს! თქვენ ალბათ თითების ანაბეჭდებს ამჯობინებთ...

კვლავ დუმილი. და შემდეგ:

— რატომ დაბეჭდეთ ნიქსონის სიტყვა სოკოლნიკის გამოფენის გახსნისას მეორე ადგილზე?

— იმიტომ, რომ მან მეორემ წარმოთქვა სიტყვა. ნიუ-იორკში საბჭოთა გამოფენა რომ გაიხსნა და ბ-ნი ნიქსონი პირველი გამოვიდა, მისი სიტყვა ფ. რ. კოზლოვის სიტყვის წინ დაიბეჭდა. მაგრამ ერთ შემთხვევაშიც და მეორეშიც რ. ნიქსონის გამოსვლები საბჭოთა პრესამ მთლიანად გამოაქვეყნა. როგორ უყურებთ თქვენ იმას, რომ ამერიკის პრესას საერთოდ არ დაუბეჭდავს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა?

ამ კითხვაზე პასუხი ვერ მივიღეთ. შემდეგ ყურმილში რაღაცამ გაიხაკუნა, და იქიდან გაისმა ისტერიული ხმა (ისევ წმინდა რუსულ ენაზე).

— თქვენ გეშინიათ ილაპარაკოთ! შეგხვდეთ ერთმანეთს! თქვენ გეშინიათ!

ეს ღრიალი რომ გავიგონეთ, გულახდილად უნდა ვთქვათ, შევშინდით, ხომ არ შეირყა ამერიკელი გიდი. მაგრამ შემდეგ მოვისაზრეთ, რაშიც იყო საქმე: იგი ჩვენთვის კი არა ყვიროდა, არამედ მაგნიტოფონისათვის, რომელიც ალბათ მისი ტელეფონის გვერდით დგას და საუბარს აღბეჭდავს. რა გაიწყობა, ჩაწერეთ!

— როგორ მოქმედებს თქვენი მაგნეტოფონი? კარგად? გადაეცით თქვენს უფროსებს, რომ ჩვენ არაფრისა არ გვეშინია, შეგიძლიათ მოხვიდეთ და დარწმუნდეთ. გეშინიათ თქვენ. და იცით რისა? სიმართლისა!

ტელეფონი საბოლოოდ დადუმდა.

(„იზვესტია", 31-VII).

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი

გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხები: მზადება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისათვის და ჟურნალისტთა კავშირის ამოცანები, ვ. გაგანოვის პატრიოტული ინიციატივა და საქართველოს ჟურნალისტთა ამოცანები, ჟურნალისტთა პროფესიული ოსტატობის დონის ამაღლება.

პირველ საკითხზე გამოვიდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარე ა. კელენჯერიძე.

მეორე საკითხზე გამოვიდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორის მოადგილე გ. მეხრიანელი, მესამე საკითხზე — „საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" რედაქტორი ო. ეგაძე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მახარაძის რაიონული გაზეთის რედაქტორმა ვ. ჯაყელმა, სამხრეთ ოსეთის საოლქო გაზეთის „სოვეტონ ირისტონის" რედაქტორმა ა. ქუმარიტოვმა, აფხაზეთის საოლქო გაზეთის „აფსნი ყაფშის" რედაქტორმა ნ. კიუტმა და სხვებმა.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო რეკომენდაციები გაზეთების რედაქციებისადმი. (საქმესი)

ჩვენი სამშობლოს დიდა-მდინარის — მტკვრის სანაპიროებზე ძველი საქართველოს ხუროთმოძღვრებს მრავალი უნიკალური ნაგებობა აღუმართავთ.

თაობები აღუფრთოვანებია ისეთი საუცხოო არქიტექტურულ ნაგებობებს, როგორიც არის ანჩისხატის ეკლესია, სიონის ტაძარი, ლურჯი მონასტერი, შურის ციხე და სხვ. კულტურის ამ ძეგლთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეტეხის არქიტექტურულ ანსამბლს და მის შემადგენელ კომპონენტთა შორის ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის შესანიშნავ ძეგლს, ჩვენამდე კარგად შემონახულ მეტეხის ეკლესიას.

კლდოვან ნაპირზე, რომელიც მტკვრისაკენ ვერტიკალურად ეშვება, ადმართულია მეტეხი, რომელიც ქალაქის მრავალი შორეული წერტილიდანაც კი ჩანს.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, როგორც საერო, ისე სასულიერო მაღალი წოდების პირთა რეზიდენცია — მეტეხი აგებულია ქრისტიანული საქართველოს პირველ საუკუნეებში. მაგრამ ჩვენამდე მოღწეული სახით მეტეხის ეკლესია წარმოადგენს მეთორმეტე საუკუნის მიწურულის ნაგებობას და არი ადრინდელს.

მეტეხის მშენებლებს გამოაკუთრებული გულმოდგინებით შეურჩევიათ ადგილი, ხუროთმოძღვრებს კარგად გადაუწყვეტიათ ამოცანა — ორგანულად დაეკავშირებინათ ტაძრის აგება ადგილობრივ ლანდშაფტთან. ტაძრის ასაგებად მონახულია ყველაზე ხელსაყრელი წერტილი კვიბერთელა კლდეზე, რომელიც ხუროთმოძღვრების მიერ ტაძრის კვარცლბეკად არის გამოყენებული.

ამ თვალსაზრისით მეტეხი ცნობილი ტაძრის — მცხეთის ჯვრის (VI-VII სს.) პირდაპირ გამოძახილს წარმოადგენს. მეტეხი, ისევე როგორც სხვა ძველი ქართული არქიტექტურული ძეგლები, შემოსეულ მტრებს არაერთგზის დაუნგრევიათ. ერეკლე მეორემ 1748 წელს მეტეხის ციხე ხელიდან გამოგლიჯა ირანელებს, კარგად გაამაგრა იგი და აღადგინა, მაგრამ 1795 წელს მეტეხი ირანელების მიერ კვლავ იქნა დანგრეული. დიდი ჯაფის შედეგად გიორგი მეთორმეტემ ხელახლა აღადგინა მეტეხი და ციხე-სიმაგრედ აქცია იგი.

25-ჯერ შემორტყმიან მტრები მეტეხს და დაუპყრიათ იგი, მაგრამ მეტეხის ეკლესიას ჩვენს დრომდე ძირითადად მაინც შემოუნახავს თავისი თავდაპირველი არქიტექტურულ-კონსტრუქციული სახე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ტაძრის შიგნითა ნაწილს არაერთგზის განუცდია გადაკეთება და მიშენება.

მეტეხის წარსული ორგანულად არის დაკავშირებული ქართველი ხალხის გმირულ წარსულთან. მეტეხში ხვდებოდნენ ერთმანეთს გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწენი. აქ წყდებოდა ქვეყნის საშინაო და საგარეო ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხები. ათას წელზე მეტ ხანს გაუწია მეტეხმა სამსახური თბილისის ძველთაძველ კარიბჭეს როგორც მთავარმა სტრატეგიულმა ციხე-სიმაგრემ.

გენერალ ერმოლოვის მმართველობის დროს, 1819 წელს, ციხე-სიმაგრის კედლები აფეთქებულ იქნა და მის ადგილზე საპატიმრო აშენდა. მეტეხის ეკლესია მაშინ საპატიმრო ეკლესიად გადაიქცა. მეტეხის საპატიმროში მრავალი რუსი და ქართველი რევოლუციონერი იტანჯებოდა. 1898 წელს მეფის თვითმპყრობელობამ მეტეხში დაამწყვდია დიდი პროლეტარული მწერალი ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი. მეფის სატრაპებს მეტეხში ჰყავდათ დამწყვდეული ლ. კეცხოველი, ა. ჯაფარიძე, კამო და სხვა გამოჩენილი რევოლუციონერები.

მეტეხის საპატიმრომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იარსება.

სხვადასხვა დროს მეტეხი ყოველმხრივ არის შესწავლილი საქართველოს არქიტექტორი მეცნიერებისა და ხელოვნებისმცოდნეების ე. თაყაიშვილის, გ. ზუბინაშვილის, შ. ამირანაშვილის, ვ. ბერიძის და სხვ. მიერ.

ამჟამად წარმოუდგენს მეტეხის არქიტექტურული ანსამბლის რესტავრირება-სამუშაოს შესრულებაში მონაწილეობენ მაღალკვალიფიციური ოსტატები. მთელი სარესტავრაციო სამუშაო ხორციელდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უშიალო ხელმძღვანელობით. აქვე დაიდგმება თბილისის დამპარსებელის — ვახტანგ გორგასალის ძეგლი.

ხ. ნაციაშვილი,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ყვავილების დღესასწაული ეკრანზე

მაისი დადგა, და ყვავილებმა ააფერადეს საშობლოს მთა-ბარი. ვინ მოთვლის, რამდენი ფერის ყვავილი კიაფობს ბაღში. ფერადი სამკაულით დაუმშვენებია გაზაფხულს ჩვენი დედაქალაქიც. სახე უბრწყინავთ, ეღიმებათ სათამაშოდ გამოსულ ბავშვებს, პეპლებივით რომ შემოხვევიან ყვავილებს.

ამ კადრებით იწყება ახალი ორნაწილიანი კინონარკვევი „ყვავილების დღესასწაული", რომელიც ახლახან გამოუშვა საქართველოს ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიამ.

ყვავილების ნაირფერი შუქი ხანძარივით მოსდებია ქალაქს. ზეიმობს თბილისი 31 მაისს — ყვავილების, სიცოცხლისა და სილამაზის დღესასწაულს.

პატარძალივით მორთულა თბილისის მშვენება და სიამაყე — რუსთაველის პროსპექტი. დღეს აქ ყვავილებმა ააბრწყინეს ყველაფერი. მთელი ქალაქი ჩაება დღესასწაულში.

ეკრანზე ვხედავთ პიონერებს ლამაზი თაიგულებით. მათაც იქით მიუწევთ გული, საათკენაც მისწრაფის დიდი და პატარა. დიახ, პირველი თაიგული ეკუთვნის ლენინს, ამ ყვავილებისა და ჩვენი გაზაფხულის მომყვანს. თაიგულები მიაქვთ სტალინის ძეგლთან. ჭაბუკი სოსელოც ხომ უმღეროდა გაზაფხულსა და ვარდებს, დღეს რომ ასე უხვად მიუტანეს პიონერებმა.

ვარდობის თვეა და არ შეიძლება არ გაიხსენონ მოთა. მის ძეგლსაც ყვავილებით ამკობენ. აბა რა დაავიწყებთ მთაწმინდას, სადაც ისვენებენ უკვდავებაში გადასული ბუმბერაზები. მოკრძალებით ჩერდებიან თბილისელები დიდი მთაწმინდელების საფლავებთან.

ბავშვებმა არ დაივიწყეს და ყვავილებით დაასაჩუქრეს თავიანთი აღმზრდელი მასწავლებელი ნატალია ენაფქოშვილი. მას ხომ ჩვენი მომავლის ყვავილებზე — ბავშვებზე ფიქრით გასთეფრებია თმა. მზრუნველი ხელით აწოდებს ბავშვებს გაზაფხულის პირველ ხილს გულისხმიერი მასწავლებელი.

სურათებზე — კადრები კინოფილმიდან „ყვავილების დღესასწაული".

ვ. ვარდიძე.

დიდი მწერლის იუბილესათვის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოსცა დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. კრებულში დაბეჭდილია ილია აბულაძის, ნ. ალანიას, ალ. ბარამიძის, რ. ბარამიძის, ვ. გაბაშვილის, ვ. დონდუას, გ. ობოლაშვილის, კ. კეკელიძის, ივ. ლოლაშვილის, ლ. მენაბდის, ე. მეტრეველის, ალ. გვახარიას, შ. ონიანის, ქ. სიხარულიძის, ლ. ქუთათელაძის, ა. შანიძის, არნ. ჩიქობავასა და თ. ჯიბლაძის მეტად საინტერესო წერილები, რომლებშიც განხილულია დიდი ქართველი მწერლის შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მრავალი საკითხი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ ამ თარიღთან დაკავშირებით გამოსცა აგრეთვე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ალოლონ ცანავას ნაშრომი „წიგნი „სიბრძნე სიცრუისა" და ქართული ხალხური მახვილსიტყვაობა".

წიგნი ოთხი ნაწილისაგან შედგება: „სიბრძნე სიცრუის" იგავ-არაკთა პარალელები ქართულ ფოლკლორში, სატირულ-იუმორისტული ხასიათის ნოველები, ზღაპრები და ანეკდოტები.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲘᲓᲐᲜ

კოკა წყალზე გაცყდა

ასინი ბრალდებულთა სკამზე სხედან. მრავალმა მამხილებელმა საბუთმა გამოამჟღავნა გაქნილი აფერისტები. შედარებით ცოტა ხნის წინათ ისინი ცდილობდნენ პატიოსან ადამიანებად გაესაღებინათ თავი, მაგრამ ახლა სამე დამთავრებულია, ანუ, როგორც თვითონვე ამბობენ, „ცხოვრებამ მოთოკა".

მოსამართლის ბ. სტურუას მაგიდაზეა სქელი საქაღალდე — შათაშვილისა და მის თანამონაწილეთა საქმე.

კითხულობ და უნებურად ფიქრობ, როგორ მოხდა, რომ ქალაქის სამრეწველო კომბინატის სამკერვალო ფაბრიკისა და არტელ „რაიინკოოპის" ხელმძღვანელებმა მთ პასუხსაგები თანამდებობანი ანდეს და რამდენიმე წელიწადში ვერ გამოიცნეს მათი სიცრუე და აფიორები.

ეს კი ასე მოხდა.

ჯერ კიდევ 1952 წლის აპრილში დავით შათაშვილი არტელ „რაიინკოოპის" №3 სამკერვალო სამკერვალოს უფროსად დაინიშნა. მაგრამ მარტო ამ ერთ თანამდებობას როდი დასჯერდა.

„ჩემი ნიჭითა და ენერგიით, — ფიქრობდა იგი, — სავსებით შემიძლია ამავე დროს ქალაქის სამრეწველო კომბინატის სამკერვალო ფაბრიკაშიც ვიმუშაო".

მისი სურვილი დაკმაყოფილეს, და ეი იგი №5 სამკერვალოს უფროსია.

შათაშვილმა გულში ბევრი იცინა ზედმეტად მიმნდობ ადამიანებზე და თავისი არაჩვეულებრივი „უნარი" გაშალა.

ასეულ ათასობით მეტრი ქსოვილები გადიოდა მის ხელში. ამ ქსოვილებს ერთი არტიკულით რომ მიიღებდა, მაშინვე გადააკეთებდა ხოლმე საქონლის არტიკულსა და ფასს.

მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ფაქტს. ერთერთი კომბინაციის შედეგად გაქნილმა საქმოსანმა ას ორმოცდაათ ათას მანეთზე მეტი ჩაჯიბა.

„გლავტექსტილტორგის" ბაზიდან 75 სანტიმეტრი ნაგანის ფლანელი 513 არტიკულით მიიღო და არტიკული 504-ად გადააკეთა, ხოლო ამ სორტის სიგანე 17 სანტიმეტრით ნაკლები იყო.

ასეთი მაგალითი შეიძლება ბევრი მოვიყვანოთ.

წლები რომ გადიოდა, შათაშვილი სულ უფრო მეტ „გამოცდილებას" იძენდა, მისი მოგება იზრდებოდა. მაგრამ სულ უფრო ძნელი ხდებოდა ნაპარავი საქონლის დამალვა.

და აი მას ბრწყინვალე აზრი მოუვიდა — მოენახა ადგილი, სადაც შეიძლებოდა ნაქურდალის დამალვა. იგი თავის ხროვაში ითრევდა სუსტი ნებისყოფის ადამიანებს, რომლებსაც პასუხსაგები თანამდებობანი ეჭირათ, მაგრამ ვერ გაუძლეს გამორჩენის ცთუნებას და აფერისტის ბნელ საქმეებში ჩათრეული აღმოჩნდნენ. მათ შორის იყვნენ საქალაქო სამრეწველო კომბინატის ტექნიკური ხელმძღვანელი გ. ღოღობერიძე, არტელ „რაიინკოოპის" ტექნიკური ხელმძღვანელი დ. ბერძენაძე, ამავე არტელის ეკონომისტი ა. ბერიძე, არტელ „რაიინკოოპის" სამკერვალო სამკერვალოს უფროსი პ. ქორქაშვილი და სხვები, სულ 12 კაცი.

მათ დაიქირავეს სარდაფი ტელმანის ქუჩის მყუდრო შესახვევში, №12 სახლში, მოაწყეს იქ საწყობი, რომელსაც, როგორც რიგი და წესია, დარაჯები იცავდნენ. მოკლე ხანში გადაიტანეს იქ 800 ათას მანეთზე მეტი ღირებულების სხვადასხვა ქსოვილები. გარდა ამისა, აქვე ინახებოდა შათაშვილის 538.478 მანეთის საქონელი, რაც სასპეკულაციოდ იყო განკუთვნილი. ეს მისმა თანამონაწილეებმაც კი არ იცოდნენ.

გამოურკვეველია, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს. მაგრამ, როგორც იტყვიან, კოკა წყალზე გატყდებაო.

რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს ოპერატიულმა მუშაკებმა არალეგალური საწყობი აღმოაჩინეს და დამნაშავენი შეიპყრეს.

თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებისა „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ", შათაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, პირადი ქონების კონფისკაციით.

გ. ღოღობერიძეს, დ. ბერძენაძეს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ხუთ-ხუთი წლით, პირადი ქონების კონფისკაციით.

დანარჩენ თანამონაწილეებს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით.

დარბაზში მყოფნი განაჩენს დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.

ლ. სოხაძე.

(გაზეთი „აბუტაისკაია პრავდა").

ᲠᲐᲓᲘᲝ

2 აგვისტო

პირველი პროგრამით

11.00 — რადიოგაზეთის „საქართველოს პიონერის" საკვირაო გამოშვება, **11.30** — საუბარი: „პლენუმის მიერ ნაჩვენები გზით", **11.45** — კონცერტი, **12.15** — მსუბუქი საორკესტრო პიესები, **12.45** — საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ვოკალური კვარტეტის კონცერტი, **14.00** — გადაცემა ბავშვებისათვის. რადიოდადგმა „მეცხრე", **14.45** — საუბარი „მეცნიერების საერთაშორისო ფრონტი", **15.00** — კონცერტის ტრანსლაცია ბაქოდან, **15.40** — რკინიგზელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული გადაცემა, **16.15** — გადაცემა ამერიკაკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებისათვის, **17.20** — საესტრადო მუსიკის კონცერტი, **17.40** — კონცერტი მოსწავლეთათვის, **18.00** — კონცერტი რკინიგზელთა დაკვეთით, **19.00** — რადიოჟურნალი ქალებისათვის, **19.30** — გადაცემა — „გეპატიჟებთ, იეკიკვეთ ჩვენთან ერთად!" (აერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიოს გადაცემა), **21.00** — ლიტერატურული გადაცემა. რადიოინსცენირება ო. ჭელიძის პოემისა „ორი მარაბდელი", **21.45** — ლ. გოცირიძის, შ. კიკნაძის, ზ. ანჯაფარიძის და გ. ამირეჯიბის კონცერტი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

2 აგვისტო

დღისით

გადაცემა მოსწავლეთათვის

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", **12.15** — ყველაზე პატარებისათვის — „გაცოცხლებული ნახატები", **12.25** — „შეისწავლეთ სიმღერა „მზიანეთი", **12.30** — კინომოთხრობა „ნადირთმჭერი".

საღამოს

19.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, **19.45** — რკინიგზელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი გადაცემა, **20.20** — გადაცემა ციკლიდან — „მეგობრები გვიგზავნიან" — რიგის ტელესტუდიის სატელევიზიო ფილმი — სპექტაკლი „ძუნწი რაინდი", **21.10** — კონცერტი, **21.40** — მხატვრული ფილმი „მწვანე გზა".

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

2 აგვისტო

ფილარმონიის საზაფხულო — ნიკოლოზ შჩუკინი საესტრადო ანსამბლის თანხლებით (დასაწყისი საღამოს 9 საათზე).

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხულო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო) — ნუ გინდა სიმღიდრე, **ამირანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი** — შვილები წინ მიდიან, **ისანი** (საზამთრო), **ისანი** (საზაფხულო), **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, კოლმეურნე** — თავი ბიჭი, **სპარტაკი** — დევნა, **თბილისი, ყაზბეგი** — იდოლი, **კომკავშირელი** — ომი და მშვიდობა (I-II სერია), **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ოფიცერთა სახლი, კომუნარების ბაღი** — როზა ბერნდი, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — საათი შუადამისას ჩერდება, **საქართველო** (საზაფხულო) — ჩრდილი და სინათლე, **კოლხიდა** (საზაფხულო) — ანა კარენინა (I-II სერია), **ოქტომბრის რაიონის ახალი** (საზაფხულო), **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — უფსკრულის პირას, **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — დავით გურამიშვილი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო) — ეკვეები ონეგინი, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — ომი და მშვიდობა (II სერია), **ძერჟინსკის სახელობის** (საზაფხულო) — სიყვარული და ცრემლები, **დიდუბე** (საზამთრო) — ჩვენი შვილი ადგოკატია.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, აგროკომპლექსის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

УЗ 04136

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.